# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 119

ქალაქი ქუთაისი 28 სექტემბერი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი** 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №451 პუნქტი თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი** 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი** 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი** 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 216
23. 09. 2022 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის

№ 119 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების

საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი

ობიექტების ნ უ ს ხ ა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | სარეგისტრაციო ნომერი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 451 | ნახევარსარდაფი | ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №21 | 39,75 | 03.04.24.084 |

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია